

განსორციელდება თუ არა ფულადი დახმარების გაცემა საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში?

დახმარების გაცემა იმ შემთხვევაში გაგრძელდება, თუ შეცვლილი საცხოვრებელი ადგილი განეკუთვნება ზემოაღნიშნულ 6 რეგიონს. დახმარების გაცემა გაგრძელდება იმ რეგიონის შესაბამისი ანაზღაურებით (მაღალმთიანი რეგიონია თუ სხვა).

რა შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს ფულადი დახმარება?

ფულადი დახმარება შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან:

- ა) განცხადებით მიმართვის შემთხვევაში;
- ბ) როდესაც ბავშვი გახდება 2 წლის;
- გ) ბავშვის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის შეცვლის შემთხვევაში, რომელიც ვერ აკმაყოფილებს დანიშვნის ადგილის პირობებს.

ვინ ახორციელებს ფულადი დახმარების ადმინისტრირებას?

ადმინისტრირებას ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტო, რომლის უფლებამოსილი პირი ყოველთვიურად ბინაზე ვიზიტით ამოწმებს ბავშვის ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს.

სად შეიძლება მივიღო დამატებითი ინფორმაცია?

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მიიღოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში, ან დარეკეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე.



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პრემიერ-მინისტრის ინიციატივა

საქართველოში დამოგრაფიული პდგოპარაოზის გაუპოვებასაგის მიზნით



მასაჟი და პედაგოგიკური გეგმვა ფინანსური დახმარება გაცემა

ბენეფიცი პატარის არაძონე რეგიონებში



სოციალური მომსახურების სააგენტო



306 იქნება პროგრამის მოსარგებლე?

2014 წლის 1 ივნისიდან დაბადებული საქართველოს მოქალაქეობის მქონე ბავშვი, რომლის ბიოლოგიური დედა/ოჯახი საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მიხედვით ფაქტობრივად ცხოვრობს ბუნებრივი მატების არმქონე რეგიონებში და ამ ბავშვის დაბადების დღის მდგომარეობით არის მისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი ბავშვი.

ამასთან, ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ტყუპისცალი არის მისი ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი, მაშინ ყველა ტყუპისცალი იქნება ამ პროგრამის მონაწილე.

როგორ გუნებრივი მატების არმქონე რეგიონის მცხოვრებელი რეგიონში იქნება მცხოვრებელი?

ბუნებრივი მატების არმქონე რეგიონს მიეკუთვნება რეგიონი, რომელშიც შობადობას ჭარბობს გარდაცვალება. ასეთ რეგიონებს ყოველწლიურად განსაზღვრავს სსიპ „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“. 2014 წელს ეს რეგიონებია: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი; გურია; სამეგრელო-ზემო სვანეთი; იმერეთი; კახეთი; მცხეთა-მთიანეთი.

როგორ რეგიონი განაუკუთვნება მაღალმთიან რეგიონს?

მაღალმთიანი რეგიონი არის დასახლებული ტერიტორია „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

როგორ ხდება ფულადი დახმარების დანიშვნა?

1. განცხადება წარედგინება სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს.
2. განმცხადებელმა მომართვისას უნდა წარმოადგინოს:
 - ა) ბავშვ(ებ)ის მშობლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
 - ბ) კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ მიმართვას ახორციელებს მშობლების გარდა სხვა კანონიერი წარმომადგენელი;
 - გ) შვილების დაბადების მოწმობები.
3. ფულადი დახმარება ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის თვის შემდგომი თვის 1 რიცხვიდან ბავშვის 2 წლის ასაკის მიღწევამდე.

რა ოდენობით ინიშნება ფულადი დახმარება?

ბავშვზე ინიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება მაღალმთიან რეგიონში საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მიხედვით ფაქტობრივად მცხოვრებთათვის – 200 ლარის ოდენობით, ხოლო არა მაღალმთიან რეგიონში საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მიხედვით ფაქტობრივად მცხოვრებთათვის – 150 ლარის ოდენობით.

სად და როგორ წარმოებს ფულადი დახმარების გაცემა?

ფულადი დახმარება გაცემა საქართველოს ტერიტორიაზე (რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ლიბერთი ბანკის ფილიალებში. მიმდინარე თვის ფულადი დახმარების გაცემა წარმოებს იმავე თვეში.